

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дროვნა“.

გაზეთის უასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს ბარდა

უასი განცხადებისა: დიდისა-გებით ასოზე 1 კაპ. ჩვეულებრივს-ცნეროთი—5 კაპ. მთელი წლისა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეაწილოს დასაბუთად გამოცხადებულ სტატიებს. დაუბუღებელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

მომავალ 1880 წელს

„დროება“-„ივერიის“

გამოცემავად

მომავალ 1880 წლის 1 იანვრიდან გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „ივერია“ შეერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე საერთო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი „დროება“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოდ ფორმატი (თბახის სივრცე) უფრო დიდი ექნება. ჟურნალი „ივერია“ კი გამოვა სამს თავში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თბახი.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში: „დროების“ რედაქციაში, სოლოლაკზე, ბაღის (სადოვის) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნა: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дროვნა“-„Иверіи“.

უასი

	წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს.
„დროება“ და „ივერია“ — ერთად	— 13 მან. — 7 მან. — 4 მან.
ცალკე: { „დროება“ — — — 9 „ — 5 „ — 3 „	
{ „ივერია“ — — — 6 „ — 4 „ — 2 „	
ცალკე ნომერი „დროებისა“ ეღირება — 5 კაპეიკი.	
— — — „ივერიისა“ — 2 მანეთი.	

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფული ხელის-მოწერა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება“-„ივერიისა“ } თ. ილ. ჯავახიანი. სპრ. მისხი.

მოთხაბათს, 5 დეკემბერს

ძართული ტრუპისაგან წარმოდგენილი იქნება თფილისის საზაფხულო თეატრში:

I კუნძი

პომედია ორს მოქმედებად, თ. ბ. მრის-თავისა.

II

ჯერ ღაისოცენს, მერე დაქორწილდნენ

პომედია ორს მოქმედებად, რუს. გარდ-მოკეთებული თ. რაფ. მრისთავისაგან.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში და აზნაუროვის მაღაზიაში, ბოლოვინის პროსპექტზე.

ღაიწყობა 7½ საათზე.

(3—1)

საქართველო

ცეცხლის წაქიდების მიზეზი

წელიწადი ისე გაივლის, რომ რამდენიმე ვაჭარი მაინც არ დაიჭირონ ჩვენს ქალაქში ცეცხლის წაქიდებისათვის. შევლასთვის ცხადია, ყველამ ვიცით, რომ ამ ვაჭრებს „ცეცხლისაგან დაზიანების მსდევრულ საზოგადოების“ აგენტებთან აქვთ პირი თუმბიან საქონელს სამ თუმნად აფასებენ და როცა ცეცხლს წაუქიდებენ, საზოგადოებისაგან აღებულ ფულს სანახევროდ იყოფენ.

ამ ნაირად, ერთის ანუ ორის უსინდისო ვაჭრის სარგებლობისათვის, ხშირად

რამდენიმე მოსამზღვრე სახლის-პატრონი და ვაჭარი, რომელთაც ზემოხსენებულ აგენტებთან არა აქვთ საიდუმლოდ პირობა შეკრული, იღუპებიან.


რასაკვირველია, ყველას ჰსურს ადვილად და უშრომელად გამდიდრება; ვაჭარი, რასაკვირველია, არ დასდევს იმას—იმის გამდიდრებით სხვა ვინმე იღუპება, თუ არა; საზოგადოთ ჩვენ-ბური ვაჭრები თითქმის მუდამ სხვების გაღარბებით და გაცარცვით იძენენ ხოლმე სიმდიდრეს. შადაგება და დარიგება ვაჭრებისა, რომ ამგვარად ხალხის დაღუპვა უსინდისობა არისო, მგლის თავზე სახარების წაკითხვას ემსგავსება.

ამის გამო მთავრობამ და შალაქის გამგეობამ უნდა მოახერხოს რამე ამ შემთხვევაში. მთავრობა და შალაქის გამგეობა ვალდებული არიან, რომ დაიციან ბოროტ-მომქმედ ვაჭრებისაგან ისეთი პირნი, რომელსაც ბოროტებითა და უსინდისობებით არა ჰსურთ ცხოვრება.

მართალია, მთავრობა თავის საშუალებას ხმარობს: ბევრი მაგალითი ვიცით, რომ ცეცხლის წაქიდებისათვის დაუჭერიათ ვაჭრები და სახლის პატრონები და კანონიერი სასჯელიც მიუყენებიათ იმათთვის; ხშირად კი ნამდვილად მტყუარნი, ნამდვილი ცეცხლის-წამკიდებელი გამართლებული სასამართლოსაგან.

მაგრამ არცერთი მაგალითი არ ყოფილა, რომ ცეცხლის-წამკიდებელ ვაჭართან და სახლის-პატრონთან ერთად იმათი თანამოზიარე აგენტიც მიეცესთ სამართალში. შეჭველია, რომ აგენტის პასუხის-გებაში მიცემა ყოველთვის, როდესაც გამოემძიებელს ეჭვი დაებადება, რომ ცეცხლი განგებ არის წაქიდებულო, შეაშინებს სხვა აგენტებსა და ისინი ვეღარ გახედვენ სხვა-და-სხვა პირობებით შეეკრან უსინდისო ვაჭრებსა და სახლის-პატრონებს, რომელნიც ცეცხლის წაქიდებით მოინდომებენ უცრადა და უშრომლად გამდიდრებას.

მაგრამ ყველა ამ საშუალებებზე უკეთესი და მიზანზე უფრო ახლოს მისაღწევი საშუალება ის იქნება, თუ როგორც პროექტი არის, თვითონ ჩვენი



ქალაქის თვით-მმართველობა იკისრებს ცეცხლის ზიანის საზღვეველად ურთიერთ დახმარების საზოგადოებას დაარსებას.

როდესაც ამ საგანზე თვითონ ქალაქში ექნებათ ყურადღება მიქცეული, როდესაც ქალაქის მამგობა იკისრებს ამ საგნის ხელმძღვანელობას, როდესაც ქალაქის უძრავი მამულების პატრონები და ვაჭრები დაინახვენ, რომ ყოველთვის ცეცხლის წაკიდების დროს ისინიც აგებენ პასუხს თავის ჯობით, მაშინ, უეჭველია, ცოტათი მაინც შემცირდება ამგვარი საზოგადოებრივი შემთხვევები; მაშინ უფრო ადვილად და დაახლოებით შეიძლება ქალაქის მამგობას თვალ-ყური ეჭიროს, რომ ას თუმანიანი საქონელი ათას თუმნად არ იყოს დაფასებული.

შველა ამ სარგებლობას გარდა, ჩვენს ქალაქს ამ საქმისაგან დარჩება კარგა ბლომათ ის სარგებლობა, რომელიც ამ ქამად რუსეთის სხვა-და-სხვა „ცეცხლის ზიანისაგან მზღვეველ საზოგადოებათა“ და იმათ ჩვენებურ აგენტებსა აქვთ.

ამის გამო სასურველია, რომ ქალაქის მამგობამ რაც შეიძლება უფრო მალე მოჰკიდოს ხელი ამ საზოგადო სასარგებლო საქმის სისრულეში მოყვანას; როგორც ზევით ვსთქვით, აქედამ ორგანიზაციის სარგებლობა წარმოსდგება: თვითონ ქალაქის დარბიზ ხაზინაც შეიმატებს ცოტა რასმე მაინცა და თვითონ ქალაქის მცხოვრებლებსაც დიდი შემწეობა და სარგებლობა მიეცემა.

დღიური

* * * ამ ქრისტეშობისთვის 7-ს, დილის 10 საათზე, ოფილისის საამხედრო ოლქის სასამართლოში დანიშნულია საქმე ქავეკასის 4 მსროლელთა ბატალიონის სალდათს იან. მიშენესკისა რომელსაც ბრალდება ის დანაშაული, რომ სალდათებში აგრცელებდა ისეთს აზრებსა და ხმებს, რომელთაც „მავნებელი პოლიტიკური განზრახვა ჰქონდათ.“

* * * დღეს, 1 დეკემბერს, ქავეკასის შედიცინის საზოგადოებაში სხვათა შორის იქნება მოლაპარაკება კომისიის მოხსენებაზედ, რომ ადგილობრივ ენებზედ (ქართულს, სომხურს და თათრულს ენებზედ) გამოიცესო, საზოგადოების ხარჯით, გიგინური და საექიმო ბროშურებიო (ხალხის ჯანმთელობის შესახებ.)

* * * ქავეკასის მთებიდამ მოვიდა დეპეშა, რომ 29 ნოემბერს მთელი დღე და ღამე თოვლი მოდიოდა შუდაურის

სტანციისაკენა და ამის გამო ამ სტანციასთან გზა შეკრულიაო.

ზუშინ, პარასკევს, სამი ფოჩტა ერთად მოვიდა რუსეთისა და უცხო ქვეყნებისა.

* * * ზაზეთს „თერგის უწყებაში“ იწერებია, რომ მლადიკავაში ჩამოსულან საქონიელი ნემეცების დაპუტატები, რომელნიც არჩევან თურმე ადგილებს იმ განზრახვით, რომ იყიდონ და აქეთკენ გადმოესახლონ. ზაზეთის სიტყვით, ამ თავით სულ ასი ოჯახი აპირებს გადმოსახლებასა და შემდეგ, თუ მოეწონათ და კარგათ მოთავსდნენ, კიდევ ბევრი სხვებიც გადმოვლენო.

* * * „ოფილისის ქრუჟაკის“ (კლუბის) ერთი წევრთაგანი იწერება ზაზეთს „ქავეკაში“, რომ წელს, 14 ქრისტეშობისთვის, ეს კლუბი აპირებს თავის ათი წლის არსებობის დღესასწაულსა და ზოგიერთ წევრთ განზრახვა აქეთო, რომ ეს დღე რომელიმე ქველი საქმით იდღესასწაულონო. სხვათა შორის, ამბობენო, რომ კლუბის შემოსავლიდამ მუდამ წელს გადადენ რამდენიმე ფული ღარიბ მოსწავლეთა შესაწევნელად, საკუთრივ რეალურ გიმნაზიისა და საქალბო გიმნაზიის იმ კარგ შეგიტრებებისათვის, რომელთაც შეიძლება არა აქვთ, სწავლის ფასი წარადგინონ მუდამ წელსაო.

პარგი იქნება, რომ სხვა ჩვენ კლუბებმაც წაჰბადონ ამ ჩინებულ მაგალითს.

* * * ოზურგეთიდან გეწერენ, რომ ამას წინათ იქ მომხდარა ერთი ამბავი, რომელზედც მთელი ეს ქალაქი და ზურიაც ღაბაჩაკობს ამ ქამათაო. საქმე აი რაში მდგომარეობს:

იქაურ სასტუმროში შეყრილიყვნენ რამდენიმე პირნი და „ცხრას“ თამაშობდნენო. ამ დროს სასტუმროში მოსულა ერთი იქაური ჩინოფიკთაგანი ჯ., რომელსაც უთქვამს, მეც მათამაშეთო; მიუღიათ; მაგრამ, რადგან ერთი კალოდის კარტის მეტი არ ყოფილა, მეორე კალოდიც მოუტანინებიათ სასტუმროს პატრონისაგან.

თამაშობის დროს ყველა მოთამაშეებს, გარდა ამ უფ. ჯაყელისა, ყველას წაუგია, ერთს ხუთი თუმანი, მეორეს ოც-და-ხუთი და მესამესაც ცოტა რაღაც. ბოლოს ერთი მოთამაშეთაგანი ეჭვში შესულა, აქ ხო არაფერი ეშმაკობა არისო, — აუღია უნახავს ერთი ცხრიანი ქალელი და შეუმჩნევია, რომ კიდები გაუხეკილი ჰქონდა; უნახავს სხვა ცხრი-

ანებიც, ყველას თურმე კიდები ისე ჰქონდა გაუხეკილი, რომ თითქმის ვილად შეატყობდა ვისაც ეს ქალელი ეჭირა ხელში.

იმ წამსვე, ამას ეს საზოგადოთ გამოუცხადებია; ყველას უფ. ჯ. — ათვის შეუხედნიათ. მა გამტყდარა ბოლოს, რომ ჩემი საქმე არისო, მოგებული ფულიც უკან დაუბრუნებია მოთამაშეებისათვის; უთხოვნია პატიება, მაგრამ ერთს ამთგანს უარი გამოუცხადებია და საქმეს მეთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორამდინ მიუღწევია.

ამბობენ, ამ შემთხვევის გამო გამომძვინვლებელი არის ოზურგეთში გაგზავნილიო.

* * * სია იმ საგნებისა, რომელნიც უნდა განიხილოს ხვალ, ორშაბათს, ოფ. ქალაქის რჩევამ:

მამგობის მოხსენება ქალაქის გასუფთავების თავობაზედ;

მოხსენება მამგობისა ცეცხლის ზიანისაგან ურთიერთ შემწეობის შესახებ;

აზრი ხმოვანის მამბაროვისა ქალაქის მადენებისა და იარაღუკების შესახებ;

მოხსენება მამგობისა მტკვარზე, ორი ახალი პირობის გაკეთების თაობაზედ;

წინადადება ხმოვანის ალადათოვისა ფულის-სასესხებელ კასების შედამხედველ დეპუტატების დანიშნავაზედ ქალაქის მხრით.

ამორჩევა ქალაქის რჩევის სეკრეტრისა და სხვ.

წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო! მე წავიკითხე თქვენს პატივცემულს გაზეთში „დროება“ (207 ნომერში) სტატია, რომელშიაც მე მავწერენ სიძულილსა ქართულის ენისასა, რადგანაც 5-ს წარსრულს ოქტომბერს სამღველოების კრებაში მე წარმოვსთქვი შემდეგი სიტყვები: „მს პრისულსტენნი ადგილი არის და რუსულათ უნდა იყოს ლაპარაკიო“ უფ. კორნესპონდენტი სხენებულის სტატისა ამ სიტყვებზედ განზრახს ჩუმდება და არ ამბობს არც თავსა როგორ და ანუ რა მიზეზით იყო წარმოთქმული ის სიტყვები და აღარც ბოლოს, რომლითაც სრულიად მტყუნდება იმათი ჰაზრი ჩემზედა; ეს საქმე გახლდათ ესრეთ:

როდესაც მამა თავსმჯდომარემ ხსენებულის კრებისამ მღველომა დავით ღამბაშიდემ მოვალეობის-ქებრ თვისისა, დაიწყო პირველათვე ქართულის ენით ლაპარაკი, რომელიც ვერ გაიგონეს ჩემს გვერდზედ მჯდომთა რაოდენთამე პირ-



თა, და სახელდობრ: ქალების ღიმილისა და ზაკონო უჩიტელმა მ. იოანე სტასმა, აღიქმანდრე წევსკის ეკკლ. დეკანოზმა პავლე ძორალოვესკიმ, მლადიკავკავის ოკრუდის ბლადოჩინმა ძოზმა ტოკაევმა და სხვათა, რომელთაც მთხოვეს რუსულათ აღხნა მამა თავსმჯდომარისაგან წარმოთქმულის ჰაზრებისა, მაშინ მე იძულებული ვიყავი აღვსდებ და წარმოვსთქვი შემდეგი სიტყვები:

„მამა თავმჯდომარეო! აქ არიან როდენიმე პირნი რომელთაც არ ესმისთ ქართული ენა და რადგანაც ეს პრისულსტეენნი აღგილი არის, ამისათვის საჭიროა რომ რუსულათაც იყოს ლაპარაკი და ქართულათაც.“

ამაზედ, მართალია, თუმცა მრავალთა დაიძახეს რომ ქართულათ უნდა იყოს ლაპარაკიო, მაგრამ თავსმჯდომარემ დაინახა რა ეს ჩემი ჰაზრი კანონიერთ, მაშინვე გამოაცხადა რომ რუსულათაც იქმნება ლაპარაკი და ქართულათაცაო; მგონია აქედან არ უნდა ჰსჩანდეს სიძულილი ჩემგან ქართულის ენისა; კვლად მეორე ნომერშიაც (208) იმავე გაზეთისა კიდევ იყო დაწერილი, ვითომც როდესაც სამღვდლოთ კრებამ ჰსთქვა საქართველოს ექსარხოსს ნებართვა ოფილისის სემინარიაში ქართულს ენაზედ კათედრის დაწესებისა რაოდენისავე საგნისა, მაშინ მე მომეხსენებინოს მისის მაღალ ყოველად-უსამღვდლოესობისათვის, რომ ეს ჰაზრი არ არის ყოველი დეპუტატებისაო და ამით მეორეთ გამომეცხადებინოს მე სიძულილი ქართულის ენისა. ეს ხომ არის სრულიად ცილისწამება ჩემი უ. კორესპოდენტისაგან ხსენებულის სტატიისა *).

რომელ მე არა მძულს არც მძულებია ჩემი მშობლიური ქართული ენა და ყოველთვის შეძლებისა-ებრ ჩემისა სხვაზედ მომეტებულად აღმომიჩენია შემწეობა და სიყვარული მისი და კვლადცა ვცდილობ მისის წარმატებისათვის ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებ თქვენთან. ხოლო ესნა მოგახსენებ როგორც იყო ნამდვილად ეს მეორე საქმე, როდესაც სამღვდლოთ კრებას ჰქონდათ ლაპარაკი და ბაასი დაწესებაზედ ოფილისის სემინარიაში კათედრისა ქართულს ენაზედ, მაშინ მე სრულიად ხმა არ ამომიღია და არც მაშინ როდესაც განუტყხადეს ეს რეთი თხოვნა საქართველოს ექსარხოს-

სა, რომელმაც პირ-და-პირ უბძანა უარი და გამოუცხადა რომ „ეგ თხოვნა უსტავის ძალით არ შემოვა თქვენს მსჯელობაშიაო, ხოლო რაც შეეხება ქართულს ენაზედ საღმრთო წერილის სწავლის გაუზოგბესობასაო ამაზედ მეც ვეცდები თქვენი თხოვნა აღვასრულო, უკეთუ თქვენც მისცემთ შემწეობას, რომ საკუთარი და საუკეთესო მასწავლებელი მოვიპოვოთ ამ საგნისათვისაო.“

ამაზედ ყოველთა სამღვდლოთა სიტყვიერად გამოაცხადეს შემწეობას მიცემთო და გაჩუბდნენ. ხოლო როდესაც ექსარხოსი წაბძანდა და შეხვდა რიგი განსჯისა იმ კითხვას, თუ როდენი ჯამაგირი, ანუ რომლის წყაროდგან დაენიშნოს ქართულის ენის მასწავლებელს, ამაზედ საქართველოს დასავლეთის სამღვდლოთ შექნეს მეორეთ ლაპარაკი და გამოაცხადეს რომ უკეთუ სემინარიაში არ დაწესდება ქართულს ენაზედ კათედრა და ამის თხოვნაზედ არ შეადგენთ ჟურნალსაო, არც ჯამაგირს მიცემთ და არცარა სხვასაო.

დაინახა-რა მამა თავსმჯდომარემ ესეთი ახირება სამღვდლოთაგან და პირ-და-პირი წინააღმდეგობა პირველად უმაღლესის დამტკიცებულის უსტავისა და შემდეგ საქართველოს ექსარხოსის ბრძანებისა, წარმოსდგა და და გამოუცხადა სამღვდლოთ:

„მაგ თქვენ თხოვნას ჟურნალში კი ვერ შევიტან და შეადგინეთ საკუთარი ქაღალდი, ყველამ ხელი მოვაწეროთ და ესთხოვოთ რომ მისმა მაღალ-ყოველად-უსამღვდლოებამ გვიშუამდგომლოს სადაცა ჯერ არს, რათამცა აღგვისრულდეს ეს ჩვენი თხოვნა.“

ამაზედ ზემორე ხსენებული სამღვდლონი კიდევაც არ შეიქნენ თანახმანი და იძახდნენ:

„არა, ჟურნალი უნდა შესდგეს.“

მართალი არის მეც წარმოსდგე შუაზედ და მოგახსენე სამღვდლოების კრებას შემდეგი სიტყვები:

„მამანო და ძმანო! რას აგხირებიათ ჟურნალი შეადგინეთო; ხომ მოისმინეთ პირ-და-პირი ბრძანება ექსარხოსისა, რომ ეგ თქვენი თხოვნა არ არის კანონიერიო, და თუმცა ჟურნალიც შესდგეს იმითაც ვგრეთვე უნდა ვსთხოვოთ ექსარხოსს შუამავლობა მაგ თქვენის თხოვნისა, როგორათაც საკუთარის აზრით, და ისევე არა ჰსჯობს რომ საკუთარის ქაღალდი ვითხოვოთ ესრეთი შუამავლობა და არა შევიქმნეთ წინააღმდეგნი ჩვენის უმფროსის ბრძანებისამეთქი.“

ამ დროს წარმოსდგა უფალი მეუ-

ნარგია, რომელიც დაწესდა ქართულ სემინარიაში და ჰქონდა დიდი გავლენა მის სიტყვებს საქართველოს დასავლეთის მღვდლებზედ, დაიძახა; რომ „აგრე უნდა იყოსო“. ამაზედ დაჩუბდნენ და შეადგინეს ქაღალდი, მოაწერეს ხელი და მიართვეს ექსარხოსსა.

ეს საქმეც ნამდვილად ასე იყო და არა ისე როგორც ჰსწერს უფ. კორესპოდენტი ხსენებულის სტატიისა, და ამისათვის ვჰგონებ რომ არც ამაში ჰსჩანდეს ჩემ-მიერ სიძულილი ქართულის ენისა.

დეკანოზი ბრიგოლ პავლიევი (დასასრული შემდეგში)

თეატრი

პართული თეატრი

28 ნოემბერს.

წარმოდგინეს ჩვენი ერთად-ერთის ნიჭიერი მწერალი-ქალის კენინა ბარბარე ჯორჯაძის სამ-მოქმედებიანი კომედია „რას ვეძებდი და რა ვპოვე!“ და უფ. მას. აბაშიძის ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „ცოლი თუ გინდა, ეს არი!“

ძ-ნა ჯორჯაძის კომედია, უტყველია; ერთ საუკეთესო ორიგინალურ კომედიათ უნდა ჩაითვალოს ჩვენს დრამატულ ლიტერატურაში. იმის შინაარსი ორის სიტყვით გამოითქმის:

მრთს ჩვენებურ ქვირე თავადიშვილს, რომელსაც, როგორც საზოგადოთ ყველა თავადიშვილებს, ერთობ უყვარს მხარეთძოზე წამოწოლა, უსაქმოზა და სიზარმაცე. ამას მოუვა თავში აზრი, ჩამოვიდეს ქალაქში, ვინმე მდიდარი სომხის ქალი შეირთოს და გამდიდრდეს.

მართლაც ასე იქს: გაჰყიდის საოჯახო დორებს თუ ინდაურებს, მოაგროვებს ერთ ოც თუმანსა და გამოემგზავრება შალაქისაკენ. აქ ის ნახავს მაჰანკალს, რომელიც ლამაზ ქალს აჩვენებს ვითომ საცოლეს და ნამდვილ კი ჯვარს ერთ ვილაც ბებერს ქალზე გადასწერს.

ზულ-ნაკოულ ქმარს თავის დარდის განქარვება იმით მაინც უნდა, რომ ცოლის სიმდიდრე თავის სახელობაზე დამტკიცოს. შებდურება ეს არის, რომ ვერც ეს მოახერხა, ცოლი არ თანხმდება.

ამ უბედურების დროს ორი ერთი-მეორეზე უფრო სასიამოვნო ამბვი მოუვა თავადიშვილს: იმის პირველი ცოლი, რომელიც ლეკებს წაყვანათ ტყვედ,

*) რომ შემოხსენებული სიტყვები ნამდვილად სთქვა მ. დეკანოზმა პავლიევი და მასადამე ჩვენს გაზეთში არავითარი ცილის-წამება არ ყოფილა იმაზე, — მას დაგვიმოწმებს მთელი კრება სამღვდლოებისა.



ცოცხალი გამოჩნდა და დაბრუნებულა იმის სახლში, მეორეს მხრით რუსეთი-დამ წიგნი მოსდის თავის შვილისა რომ მდიდარი ქალი შევირთე და ლოცვა-კურთხევა გამოგზავნეთ.

თავადი შეილი მიატოვებს თავის ახალ ბებერ კნენას და ისევ სოფელში შიდას. აი ეს არის შინაარსი კომედიისა; შინაარსი, მართალია, მაინც-და-მაინც მდიდარი არ არის, მაგრამ ავტორის ნიჭს აქედამაც ჩინებული სასცენო მშვენიერის ენით დაწერილი კომედია გამოუყვანია.

მოთამაშებმაც არ შეგვარცხენეს: გარდა საგარეოსისა, რომელიც როგორც უნდა, მუდამ ერთგვარად იგრიხება და იმტვრევა გლეხის როლში და რომელსაც როგორც ეტყობა, თავის დღეში არ უნახავს თავადი და იმის მოურავი ერთად, და მ. შიფიანისა, თითქმის ყველამ რიგაიანად შეასრულეს თავის როლები. უნდა შევნიშნოთ მხოლოდ, რომ მ. შიფიანის ქალს, რომელიც სომხის ქალის როლს თამაშობს, პარიკმახერი ერთობ ამხინჯებს, ერთობ შესასიზღრად გამოჰყავს გრიმიროვკაში, ასე რომ მაყურებელს არ ესიათმენება იმის დანახვა სცენაზე.

უფ. მ. აბაშაძე სირაჯის როლში შეუდარებელი, მშვენიერი რამ იყო. როგორც მიხვრა-მოხვრით, ისე ლაპარაკით სახითაც კი ის წარმოგიდგენდა თვალწინ ჩვენებურს, ნიშნულს ავლაბრელ სირაჯს.

„სოლი თუ გინდა, ეს არი!“ პატარა სუსტი შინაარსისა და კიდევ უფრო სუსტად დაწერილი ვოდევილია. მაგრამ ამ

პიესაში უმთავრეს როლებს თამაშობენ ორი ისეთი ნიჭიერი პირები, რომ მკედარი პიესაც რომ იყვეს, იმასაც კი სულს ჩაუდგმენ და გააცოცხლებენ. საფაროვის ქალი (აბაშიძისა) აღრეც გვინახავს ამ ანჩხლი, ახალგაზდა ცოლის როლში; მაგრამ ასე მოხდენილად, ცოცხლად და თითქო ხალისიანად, როგორც ამ ოთხშაბათს ითამაშა არცერთჯერ არ უთამაშნია.

მართი სიტყვით, წარმოდგენა კი ჩინე-

ბული სასიამოვნო და სასიხარულო იყო; მაგრამ უბედურება ეს არის, რომ მაყურებელნი, რომელნიც უნდა დამტკბარიყვნენ ამ წარმოდგენით, ერთობ ცოტანი იყვნენ ასე, რომ თითქმის მთელი შემოსავალი ამ საღამოსა თეატრის ქიჩაში ერგო თურმე უფ. პალმს.

სწორეთ ამ უფ. პალმის მუშა არის ჩვენი ტრუპა...

სადამდინ უნდა იქმნეს ჩვენი სცენობა ამგვარს მდგომარეობაში?...

განცხადებანი

ვ. შავერდოვის გაზეთის სააგენტო

(Газетное Агентство В. Шавердова)

თ შ ი ლ ის უ ი

(ზოლოვირის პროსპექტი, შავერდოვის სახლებში)

იღებს: ხელის-მოწერას რედაქციის ფასით ყველა სატახტო ქალაქებისა, უცხო ქვეყნებისა და ადგილობრივ გაზეთებზე და ჟურნალებზე.

ხელის-მოწერა მიიღება იმ პირობით, რომელსაც რედაქციები აცხადებენ და იმ ვადით, რა ვადითაც გამომწერი ისურვებს.

შულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება. უცხო ქვეყნისა და ოფიციალურ გამოცემების გამომწერთ სააგენტო გარდაახდევინებს მცირე კომისიის ფულს ფორტის ხარჯად. გაზეთის სააგენტო ხელის-მოწერას წარუდგენ რედაქციიდან მიღებულს კვტანციას ფულის შეტანის თაობაზე.

ამ სააგენტოს საშუალებით გამოწერა გაზეთებისა და ჟურნალებისა განსაკუთრებით იმათთვის არის სასარგებლო, ვინც რამდენსამე გამოცემას ერთად დაიბარებს ხოლმე.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა მომართონ სააგენტოს: В Тифлисе. В Газетное Агентство В. Шавердова.

(3-1)

რ. ზ. ა.	დ. ი. ა.	ს. ა. ა.	II კ.	III კ.	ტელერაფი	მან კაპ.	მაზანდა	მან კაპ.	თფილისის სამაშრნალო.
თფილისი	9 21	5 18	8 კაპ.	მ. კაპ.	მ. ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი 30 ნომბ.		მრეფ. მეიდა, წინამძღვაროვ. სახლი.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ბავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	50	უფ. თეთ. მანჯისა ფუთ.	2 40	ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდან 10-დინ.
ზორი	11 58	9 43	3	1 53	როსტოვს, მდესას, მოსკოვს, პეტერბურგს, პარშავს	2	უფ. წითელი	2 10	მ რ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავთმყოფობის.
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	მსმალეთში, შევიტარიაში	3	ბაშა მრეწვისა, ფუთი.	8 70	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვი შინაგ. ავთმყოფ.; რეინი—თვალის, შურავ-
სურამი	1 44	4 90	2 61		იტალიაში და საფრანგეთში	3 50	—შერიკისა, ფუთი	9 50	ლევი—ვენერიულის და კანისა; ბა-
შვირიდა	5 49	7 21	3 69		ინგლისში	3 75	ბაგენტილი ბაშა ფუთი.	10 70	ბოვი—გულისა და შინაგ.
რიონი	6 57	8 44	4 31		ფორტა		მატყელი თუშური ფუთი.	7 60	მ თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი—ში-
სამტრედია	7 51	9 66	4 93		ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ზუგდ. მ. შურ. —პარასკ. და ორშ. ბა-ნეთს—სამშ. და შაბ. ბ) მუთაი-სიდან: თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. მ. შურ-გეთს—ორშ. და პარასკ.		—თარაქამისა ფუთი	3 50	ნაგ. ასტავცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავთმყოფ.
ახალ-სენაკი	8 43	10 71	5 47				—აბრეშუმის ნუხური სტ.	2 10	ს ხ თ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვი—ში-
ფოთი	9 50	12 24	6 26				შონი ფუთი	4 80	ნაგ. ავთმყოფ. და შურავლევი—კანის
შოთი	9 3						შონის სანთელი ფუთი.	7 60	ნაგ. ავთმყოფ. და შურავლევი—კანის
ახალ-სენაკი	10 14	1 53	78				სტეარინის სანთელი ფ.	11 60	და ვენერიულის.
სამტრედია	11 5	2 61	1 33				ხორცი ძროხისა დიიტრა		პ ა რ ა ხ კ ე ვ ს ი ქ ნ ე ბ ი ა ნ: ლისი-
რიონი	12 13	3 84	1 97				—ცხვრისა, ლიტრა		ცევი, შინაგ.; ასტავცატუროვი—ვე-
შვირიდა	1 18	ლაშე. 5 3	2 56				სპირტი ვედრო	4 50	ნერ. და კანის; ბაშავეი—გულისა და
სურამი	5 12	1 10	7 34	3 74			შეკარი ბროც. ფუთ.	8 40	შინაგ. ავთმყოფ.
ხაშური	5 39	1 37	7 51	3 84			—ფენილი ფუთი	5 70	შ ა ბ ა თ ს: შერმიშვი, შინაგ.; შურ-
ზორი	7 5	4 89	2 4	4 73			შავა რევალი გრვ.	65	ავთმყოფ.—ვენერ. და კანის, რეინი-
მცხეთა	8 50	6 59	11 39	5 82			ნეთი ქუნჯუთისა ფუთი.	13 50	თვალის.
თფილისი	9 31	7 56	12 24	6 26			თამბაქო საშუალო ფუთ.	6 70	